საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის

სახალხო საქმე

ტფილ. 30 კაპ.
რკინის გზებზე 60 კაპ.

მთავარი კომიტეტის ორგანო

№ 415 1918 წ. სამშაბათი, დეკემბრის 24. № 415

სადახლოსთან დიდი ბრძოლაა. უკან შეკრებილი სომხები აჯანყდნენ. მათ წინააღმდეგ სათანადო ზომები მივიღეთ. შულავერი ჩვენებმა დაიჭირეს სოფლებში მობილიზაცია მშვენივრად მიდის. მთავრობა აცხადებს, რომ სომხებს ტფილისში მობილ. გამოუცხადებიათ. დაპატ. 184 კაცი და დაშნაკცაკანების მეთაურები.—დღეს პარლამენტის სხდომაა.

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი აუწყებს თავის ამხანაგებს, რომ დეკემბრის 19-ში გმირულად დაღუპულ ამხანაგ გვარდიელთა

ა. მაისურაძისა, ლ. გოდერძიშვილის, ნ. ფარჩანაძის, კ. ცინცაბაძისა, ი. თავართქილაძისა, კ. ტაკიშვილისა, დ. ვაჩეიშვილისა, ლ. ფანცულაიას, ა. დავითაშვილის, ზ. კუტუხაშვილის, პირველი ა. კროშის, მეორე კროშის, გ. დემიძის, ნარიმანოვის, კ. დოლიძის

და სულ 32 ამხანაგის დასაფლავება შესდგება დღეს, დეკემბრის 24-ს, საძმო სასაფლაოზე. ამხანაგების გამოსვენება რკინის გზის საავადმყოფოს ეკლესიიდან შუადღის პირველზე მოხდება. 1456

ღრმად დამწუხრებული დედა კესარია ფიფიას ასული ძმები ალექსი, ჯუნდა, გუდუ და ზებედე გოგიას ძენი, დები ვარვარა, ციცუ და აკა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას

სტეფანე გოგიას ძე ბაძაღუასას

რომელიც იქმნა ვერაგულად მოკლული ბალდის მთაზე „მოლობილაშიდ“ 1918 წ. დეკემბრის 7 ს ტირილის და უკანასკნელი გამოთხოვების დრო დანიშნულია 1918 წ დეკემბრის 8 ს (ძველი სტილით) სოფელ მუხურში (ზუგდიდის მაზრა) დაკრძალვა იქნება მუხურის წმიდა გიორგის ეკლესიის სასაფლაოზე. 2574

დიდათ დამწუხრებულნი ქმარი დავით გიორგის ძე ქურდოვანიძე შვილებით თამარ და ნადიათი, დედ-მამა ოლღა და იასონ აბაშიძეები დები: სონა მაზურიშვილისა რახილი ფარესაშვილისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

ნინო იასონის ასულ ქურდოვანიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება სამშაბათს დეკემბრის 24. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე მიცვალებულის გამოსვენება დანიშნულია დილის 10 საათზე ახალციხის შესახვევიდან წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე, 2618

გულ ჩათუთქულნი მშობლები მღვდელი დავით კახაბერი მარიამ ზაქარიას ასული, ძმები გრიგოლი, შალვა და გიორგი, დანი თამარი, სოფიო და ალექსანდრა მეუღლე ლავრენტი ანტონის ძე სარალიძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ [illegible]

არჩილ დავითის ძე კახაბერი

ამ თვის 23-ში წირვა და ანდერძი ჩუღურეთის ნიკოლოზის ეკლესიაში, გამოსვენება თამარის ქუჩა № 35. საკ. სახ. პანაშვიდი ყოველ დღე ხუთ საათზე საღამოთი, დაკრძალვა ოთხშაბათს დეკემბრის 25-ს. 2621

უზომო მწუხარებით შეწუხებულნი ალექსანდრა დავითის ასული და ექიმი ლავრენტი ანტონის ძე სარალიძენი აუწყებენ მეგობართ, ნათესავთ და ნაცნობთ პირველის დაუვიწყარ და საყვარელის ძმის და მეორის ცოლის ძმის მედიკური ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტის არტილერიის ჯარისკაცის

არჩილ დავითის ძის კახაბერის

უდროოდ დაკარგვას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათ. თამარის ქუჩა. 35 საკუთ. სახლი, დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს დეკემბრის 25 ს

არქიმანდრიტი დოსითეოსი და მაქსიმე ბერძნიშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დეკემბრის 19-ს სოფ. ეკატერინენფელდში მტერთან გულდაგულ ბრძოლაში გმირულად დაიღუპა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

მიშა დავითიშვილი

დაკრძალვა მოჰხდება დღეს, დეკემბრის 24. კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. დასაწყისი წირვისა დილის 10 საათზე 2622

მღვდელი ალექსანდრე დავითიშვილი მეუღლით და შვილებითურთ უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დეკემბრის 19-ს ეკატერინენფელდში მტერთან ხელ-ჩართულ ბრძოლაში გმირულად დაიღუპა მისი ძვირფასი ძმისწული, დონის უნივერსიტეტის სტუდენტი და ცხენოსანთა გვარდიის უნტერ-ოფიცერი

მიშა დავითიშვილი

დაკრძალვა მოჰხდება დღეს, დეკემბრის 24. კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. წირვის დასაწყისი დილის 10 საათზე. 2622

გულ-მოკლული ანა ნიკოლოზის ასული უსტიაშვილისა მისი მეუღლე მღვდელი დიმიტრი უსტიაშვილი და მათი შვილები: ნინო და ალექსი უგულითადესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ დეკემბრის 19 ეკატერინენფელდთან ხელ-ჩართულ ბრძოლაში რაინდულად თავი შეაკლა მტერს მათმა საყვარელმა

მიშა დავითიშვილმა

დონის უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტმა, გვარდიის ცხენოსანთა დივიზიონის უნტერ-ოფიცერმა დაკრძალვა მოხდება დღეს, დეკემბრის 24. კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. დასაწყისი წირვისა დილის 10 საათზე. 2522

დავით როსაფის ძე მაჭავარიანი, დედა ლიზა, მეუღლე მარიამი, და-ძმა ნინო და სვიმონი და შვილები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფასი ბიძაშვილის

სანდრო მაისურაძის

გმირულად დაღუპვას სამშობლოს ვერაგ მტერთან ბრძოლაში. დასაფლავება მოხდება „ძმათა სასაფლაოზე“ ნაძალადევში დღეს, დეკემბრის 24 ს (ნიკოლოზის ქ. 85). 2626

დედ-მამა მაკრინე და ალექსი, ძმები ალექსანდრე, ვლადიმერი სამსონი და ვარდენი, მამინოშვილები დაი ბარბარე (ძობუ) ქმრით მიხეილ სალაყაიები, რძლებ: ოლღა ქუბაბრიას ასული, მინა თურქიას ასული და ვასასი ფხაკაძის სული აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ ბრძოლის ველზე დაიღუპა პორუჩიკი

ნესტორ ალექსის ძე მამინოშვილი

თუ მიცვალებულის პოვნა შევძელით დაკრძალვის დღეს შემდეგ გამოვაცხადეთ. 2627

გულ-დათუთქულნი იოსებ სვიმონის ძე და დარო ბაქრაძეს ასული დახელიძეები, ნადა იოსების ასული და რევაზ გიორგის ძე შალიკაშვილები, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ 2 საარტილ. ბრიგადის, 2 ბატარეის ჯარისკაც-სტუდენტ საყვარელ

იოსებ (ჟოზეფ) ბერიძის

ჭრილობისგან უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე გუდაურის ქ. № 2. ცხედარს გამოასვენებენ დეკემბრის 25 ს დილის 9 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში. დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 2624

გულ-დამწვარი ანა (ტატულია) საბას ასული, თამარ და ელენე ხიოლაძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას ძვირფას საყვარელ დაუვიწყარ დისწულის და დეიდაშვილის

ნინო (ტოტია) სილოვანის ასულის ხოქიაშვილის

წირვა და პანაშვიდი ქაშვეთის ეკლესია დილის დეკ. 26 ს, დაკრძალვა წმიდა ნინოს სას. გამოსვენება პუშკინის ქ. № 27 2623

ტფ. ქართ. ვაჭარ მრეწველთა კავშირის საბჭო აცხადებს, რომ დღეს, დეკემბერის 24 ს, საღამოს 5 ს.

ტფ. ქართ. ვაჭარ-მრეწველთა ბინაზე (ფრეილინის ქ. № 11) დანიშნულია

კრება ტფილისის ქართველ ვაჭარ-მრეწველთა

შესახებ საქართველო სომხეთის ომისა. 2625 დასწრება სავალდებულოა.

განცხადება

სამხედრო სამინისტროს საადმინისტრაციო ნაწილი ამით აცხადებს, რომ რადგანაც ტანისამოსისა და მოკაზმულობის სამხედრო ნაკლებად მოიპოვება, სამხედრო მინისტრმა გასცა ბრძანება, რომ ჯარში გაწვეულ ახალგაზრდებს მიეცეთ სასყიდელი იმ ტანისამოსში, რომელსაც იგი მოიტანს, თუ ეს ტანისამოსი ვარგა სახმარებლად და შეეფერება არსებულ ფორმას.

დაწესებულია შემდეგი ფასები:

თითო მაზარაში 75 მან., ხალათში 50 მ., შარვალში 40 მ., პერანგში 15 მ., პერანგის ამხანაგში 15 მ., ერთ წყვილ წინდაში 4 მ. 10 [illegible], ერთ წყვილ წაღაში 120 მ., ერთ წყვილ ბათინკაში 105 მ. 1457

სახელმწიფო თეატრი

ოპერა ს. ი. [illegible] ხელმძღვანელობით

სამშაბათს, დეკემბრის 24-ს

საბანეევის, სარაჯიშვილის და ვრონსკის მონაწილეობით

მარგალიტის მაძიებელნი

ოთხშაბათს დეკემბრის 25 ალეშკას, ზალიპსკის და პოლიაევის მონაწილეობით პირველად ზაზა, ხუთშაბათს დეკემბრის 26 ს საბანეევის, მართინოვას და სარაჯიშვილის მონაწილეობით ლაკმე და ბალეტი შაბათს დეკ. 28-ს [illegible] სასარგებლო ბენეფისი ჰოფმანის ზღაპრები საბანეევა-ოლიმპია, შელგინა-ანტონიო, შამბერგი-ჯულიეტა, მაროზოვა-ნიკლაუსი, ზალიპსკი ჰოფმანის და ნიკოლსკი-ლინდორფი, კოპპელიუს. დაპერტუტტო დაპირულის როლებში.

1397

ტფილისი, დეკემბრის 24.

ჩვენი სიმტკიცე.

არა გვგონია სადმე იმდენი გასავალი ჰქონდეს ჭორს, ათასგვარ დაუჯერებელ ხმებს, რამდენადაც ჩვენში აქვს გასავალი. საზოგადოდ ომის, ბრძოლის დროს ნერვიანობა და სულის სიმშვიდე ერთმანეთს ერიდების, მაგრამ კულტურულ ხალხში, ერში, რომელსაც აქვს სურვილი და მტკიცე ნებისყოფა შემოსეული მტერი მოიგერიოს და შესაფერისად დასაჯოს კიდევაც—სულის სიმშვიდის დაკარგვა არ ჰხდება და ნერვიანობას ნაკლები ადგილი აქვს. ამ მხრით საქართველოს არ ეთქმის მაინცა და მაინც საყვედური. ქართველი ხალხი თუმცა აღშფოთებულია მეზობლების მზაკვრულ თავდასხმით, მაგრამ იგი მტკიცეთ არის დარწმუნებული, რომ იგი მართალია და გამარჯვებაც მას ჰხვდება. მაგრამ არიან საზოგადოების ელემენტები, რომელნიც ყოველთვის თავის მშიშარობით, კურდღლის ფსიქოლოგიით საზოგადოების სიმშვიდეს არღვევენ და უნებური აგენტები ჰხდებიან მტრისა.

მაგრამ გარდა ამ კურდღლებისა, რომელნიც თითქოს მხოლოდ მისთვის დაბადებულან, რომ ათასგვარი ჭორი გაავრცელონ, მერე თვითონ დაიჯერონ და პანიკა ატეხონ—არიან სხვა ჯურის ადამიანებიც. ესენი მრავლად მოსახლეობენ ჩვენში, შეგნებულად ავრცელებენ ხმას: სომხეთი მარტო არ არის, მას ინგლისი, ოსმალეთი, რუსეთი ეხმარება და სხ. ესენი შეგნებული აგენტები არიან სომხეთისა, ისინი, ვისაც თავიდანვე ჰქონდა მიზნად დასახული საქართველოს დამოუკიდებლობის დაღუპვა და ძველებური ბატონობის აღდგენა. ესენი ჩვენს დედა-ქალაქში მობილიზაციის გამოცხადებასაც კი ჰბედავენ და აშკარა კრებებს ჰმართავენ და საჯაროდ გაზეთებში სწერენ, რომ სომხეთმა თავისი დაიბრუნა და რა ნება გაქვთ მის თავდასხმას მუხანათური უწოდოთ.

მათ აამუშავეს მოსყიდული ხალხი და ვითომ გვემუქრებიან კიდევაც, ოღონდ მოთმოვნილებას გვიყენებენ და ჰგონიათ, რომ ჩვენს სიმტკიცეს შეარყევენ. საქართველოს მთავრობამ უკვე მიიღო ზომები ზემოხსენებულ ვაჟბატონთა ასალაგმავად. მაგრამ საჭიროა მეტი სიმტკიცე და მეტი ენერგია მათს წინააღმდეგ. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ფრანგების თქმა: ომის დროს სწორედ იგეა, როგორც ომშიო.

საჭიროა ჩვენი ქვეყანა გაიწმინდოს მათგან, ვინც მხარში მუხთლად მოკიდებია ჩვენს ქვეყანას. ჩვენ, რასაკვირველია, არავითარი საწინააღმდეგო არა გვაქვს იმ სომხების წინააღმდეგ, რომელნიც რამდენიმე საუკუნეა ჩვენში სცხოვრობენ და ჩვენი ქვეშევრდომნი არიან. მათთან ყოველთვის მოგვინდება ცხოვრება და ისინი როგორც წინად, ისე მომავალში იქნებიან თავისუფალნი მოქალაქენი ჩვენი რესპუბლიკისა. ჩვენ ვლაპარაკობთ მასზე და არა მათზე, ვინც მოღალატე და მებრძოლია ჩვენს წინააღმდეგ. ამათ საძაგელო სამართლიანად მიეგებათ. მაგრამ ჩვენ კისრიდან უნდა მოვიხსნათ ის ტვირთი, რომელიც ფინანსიურადაც საქმეს გვიფუჭებს. ესენი არიან სომხის შეიარაღებულნი. მათი შენახვა საქართველოს მთავრობას დღეში ასი ათასზე მეტად უჯდებოდა. საჭიროა საჩქაროდ განხორციელება მთავრობის გადაწყვეტილებისა—ეს ხალხი უნდა მოვიშოროთ და სამშობლოში გავგზავნოთ. პროვინციიდან ძალიან სასიხარულო ამბები მოდის. ხალხი ათასობით მოდის ჯარში, თავისი თოფებით და ცხენებით. დიდი აღტაცებაა და იქ სადაც ათასია გაიწვიეს—მოდის [illegible]რეობა ამ მხრითაც სახუმაროა. ამიტომ ვიმეორებთ მეტი სიმტკიცე, მეტი ენერგია და ყველას, ვინც ჩვენს საქმეებში ერევა და დარაჯობს მოხერხებას, უნდა ვუთხრათ: ხელი შორს! ჩვენ დამოუკიდებელნი ვართ და ამ ჩვენს დამოუკიდებლობას არავის შევალახვინებთ.

სომხის პლუტოკრატია

სომხის პლუტოკრატია და მის წიაღში შობილი შოვინისტური და ავანტიურისტული პარტია „დაშნაკცუთიუნი“, ჩვენი ქვეყნის მშრომელი ხალხის ოფლით გამდიდრებული, დღემდის გაცილებით უკეთეს პირობებში სცხოვრობდა, ვიდრე სხვა რომელიმე სოციალური ჯგუფი და კატეგორია როგორც აქ, ჩვენში, ისე რუსეთში. აგრარული არისტოკრატია ჩვენი ქვეყნისა სწორედ იმიტომ, რომ იგი აგრარული არისტოკრატია, შესამჩნევად შეიზღუდა და მთელი პოლიტიკური ძალა და მნიშვნელობა ხელიდან გამოეცალა. დღეს ჩვენა ვხედავთ, რომ იგი უპროტესტოდ ემორჩილება იმ დემოკრატიულ წესწყობილებას, რომელიც ჩვენში დამყარდა და რომელიც ამიერიდან ისტორიულ გარდაუვალი ფაქტად უნდა ჩაითვალოს. ამ ისტორიული აუცილებლობის წინაშე მორჩილებით ქედი მოიხარა ჩვენმა აგრარულმა არისტოკრატიამ, იგი დაემორჩილა დემოკრატიის სტიქიურ ძალასა და მის სტიქიურ განვითარებას.

სულ სხვანაირია სომხის პლუტოკრატიის ფსიქოლოგია. ძველს, ბიუროკრატიულ წესწყობილებაში აღზრდილს, დღეს, როდესაც მდგომარეობა არსებითად შეიცვალა, თავისი ფსიქოლოგიის შეცვლა ვერ მოუხერხებია. რუსეთის ბოლშევიკურმა მოძრაობამ, მათ მიერ გამოწვეულმა ანარქიამ ფიზიკურადაც კი მოსპო ფულის არისტოკრატია. საქართველოს დემოკრატიის განვითარება ამნაირი ექსცესების გზით არ წასულა. მან შეჰქმნა ისეთი წეს წყობილება, რომელიც საშუალებას აძლევდა ყველას თავისუფალი შრომისას და თავისუფალი ალებ მიცემობისას. დამახასიათებელი თვისება საქართველოს დემოკრატიისა სწორედ ის არის, რომ მისი მოქმედებ

იყო და არის არა ნაციონალისტური, არამედ ნაციონალური; იგი ჰქმნის არა ქართველ რესპუბლიკას, არამედ საქართველოს რესპუბლიკას, და ჰქმნის არა მხოლოდ თავისი საკუთარის ძალით, არამედ საქართველოს მთელი დემოკრატიის ძალით. ამ გზით იქმნება საქართველოს ნაციონალური დემოკრატიული რესპუბლიკა, ნაციონალური ამ სიტყვის ევროპიულის მნიშვნელობით საქართველოში მცხოვრებ ყველა ერს შეუძლიან და ვალდებულიც არის სხვებთან ერთად და სხვებთან თანასწორად მიიღოს მონაწილეობა ამ ნაციონალურ სახელმწიფოს შექმნაში; და სხვებთან ერთად და სხვებთან თანასწორად განაწილოს ყოველნაირი სიკეთე ამ ნაირად შექმნილი სახელმწიფოსი.

მაგრამ სომხის პლუტოკრატია და განსაკუთრებით კი ტფილისის სომხის პლუტოკრატია ძველს ტრადიციებზე აღზრდილი, რომლისთვისაც არც ერთი პოზიცია რევოლიუციას არ წაურთმევია, ძველებურად ამაყად ჰგრძნობს თავის თავს და ჰეგემონია არა ჰსურს ხელიდან გაუშვას. ავიწყდება მას, რომ დღეს უკვე აბსოლიუტური ბატონობა დემოკრატიისა და ამ ბატონობის წინაშე მან სამუდამოდ ქედი უნდა მოიხაროს ისევე, როგორც ქართველმა აგრარულმა არისტოკრატიამ მოიხარა. სომხის ვაჭარ-მრეწველთა კლასს ფართო სამოქმედო ასპარეზი აქვს საქართველოში; მას შეუძლიან თავისი მშვიდობიანი შრომით სარგებლობა მოუტანოს თავის თავსაც და სახელმწიფოსაც, მაგრამ საუბედუროდ ასეთი პერსპექტივით იგი არა კმაყოფილდება და ჰ ურს კვლავ ერთგვარი პოლიტიკური როლი ითამაშოს და ისიც საქართველოს დემოკრატიისა და მისი რესპუბლიკის წინააღმდეგ.

დადგა დრო, როდესაც ამ სომხებმა, რომელთაც დიდიხანია ჩვენს ქვეყანაში უცხოვრიათ და რომლებმაც თავიანთი ეკონომიური და ქონებრივი კეთილდღეობა ჩვენი ხალხის ზურგზე ააშენეს, დაამტკიცონ, ჰუთ საქართველოს ერთგულ ქვეშევრდომებათ დარჩნენ და საქართველოს პოლიტიკური მიზნებისთვის იმუშაონ, თუ ხელს გაუწოდებენ იმ ერივნულ ავანტიურისტებს რომლებმაც მახვილი მოუღერეს საქართველოს, ვერაგულად თავს დაგვესხნენ და ეხლა ტფილისს ემუქრებიან. საქართველოს დემოკრატია სომხეთის მთავრობას და მის ხელმძღვანელ „დაშნაკციუთუნის“ პარტიას ამ ვერაგობას არ აპატიებს და იბრძოლებს იმ დრომდე, სანამ არ აიძულებს ქედი მოიხაროს დემოკრატიის ნებისყოფის წინაშე. ჩვენ ვიცით, რომ იმ დანაშაულს რომელიც სომხების მთავრობამ ჩაიდინა, არც ასე ადვილად მოეღება ბოლო.

ჩვენ ვიცით, რომ დიდი მსხვერპლის გაწევა დაგვჭირდება იმ ავანტიურის ლიკვიდაციისთვის, რომელიც ერევნის მთავრობამ დაიწყო ჩვენ გვინდა და ეს სურვილი სრულიად ბუნებრივია, რომ სომხის პლუტოკრატიამ, რომელიც ჯერ კიდევ სცოცხლობს ჩვენს ქვეყანაში, სამუდამოდ გამოხატოს თავისი დამოკიდებულება საქართველოს რესპუბლიკისადმი. თუ ამ საბედისწერო ჟამს ჩვენი მშრომელი ხალხის შრომით გასუქებული სომხის პლუტოკრატია ორჭოფობას გამოიჩენს და დაამტკიცებს თავის არალოიალობას საქართველოს დემოკრატიისადმი, რომელიც დღეს თავს იცავს ერევნული ავანტიურისტების შემოსევისაგან, დაისმება საკითხი ამ პლუტოკრატიის ლიკვიდაციისა. ჩვენ ერთ წუთსაც არ მოვითმენთ რომ სომხის პლუტოკრატია და მისი წიაღიდან შობილი ნაციონალისტური პარტია „დაშნაკციუთიუნის“ წინ გადაეღობოს საქართველოს დემოკრატიას სწორედ მაშინ, როდესაც იგი დიდი რეფორმების განხორციელებას შეუდგა მშვიდობიანობის, უფლებრივის გზით; ჩვენ ერთს წუთსაც ვერ მოვითმენთ, რომ კვლავ წამოჰყოს თავი ტფილისში ბატონობის გიჟურმა პრეტენზიებმა, რადგანაც ვიცით, რომ ეს პრეტენზიები დამყარებულია იმ ქონებრივ ძლიერებაზე, რომელიც სხვათა შორის ქართველი დემოკრატიის თავგანწირული ბრძოლის წყალობით, შერჩა მათ. როდესაც ჩვენი დემოკრატია თავისი ორი თვალივით უფრთხილდებოდა ტფილისს, ამით სხვათა შორის უფრთხილდებოდა მათ სიმდიდრესაც. თუ სომხის პლუტოკრატია დღეს, ამ საბედისწერო ჟამს, გაბედავს და კრინტს დასძრავს იმ რესპუბლიკის წინააღმდეგ რომელიც ყოველნაირ საშუალებას აძლევს თავისუფალ მშვიდობიან ცხოვრებისას, ჩვენ იძულებული გავხდებით დავადგეთ ისეთს პოლიტიკას, რომელიც მომავალში შეუძლებლად გახდის სომხების პლუტოკრატიის რამენაირ პრეტენზიებს.

ჩვენ ჯერ კიდევ გვჯერა, რომ საქართველოს სომხობა მხარს არ დაუჭერს ერევნის ავანტიურისტებს & ყოველნაირ ზომებს მიიღებს მათს წინააღმდეგ, გვჯერა რომ საქართველოში მცხოვრები სომხობა ასი წლობით ჩვენს გვერდით მოსახლე, სასტიკად დაჰგმობს ერევნელ სომხების ამ ისტორიულ დანაშაულს და ჩვენი ქვეყნის მთელ დემოკრატიასთან ერთად, ხელი-ხელ ჩაკიდებული შეებრძოლება საქართველოს თავისუფლებისა და წესიერების მტრებს, მტრებს, რომლებიც ამიერკავკასიაში ცეცხლის ანთებას არ მოერიდნენ და ზურგიდან მახვილი დაჰკრეს საქართველოს მშრომელ ხალხს.

პირველი და უტყუარი ნაბიჯი ამნაირ ლოიალობისა ის იქმნება თუ ტფილისის ვაჭარ მრეწველთა კლასი, განურჩევლად ეროვნებისა, ფულით დაეხმარება თავის მთავრობას და თავისი საკუთარის თაოსნობით მთავრობის განკარგულებაში გადასცემს საკმაოდ დიდს თანხას იმ ავანტიურის მოსასპობად, რომელიც სომხეთის დღევანდელმა ბატონებმა „დაშნაკცაკანებმა“ დაიწყეს.

არ. ჯაჯანაშვილი.

სომხური პრესა

„მშაკი“ (№ 262, 21 დეკ.) შემდეგს სტრიქონებს უძღვნის სომეხ-საქართველოს ომს:

„უნდა სიმართლე ითქვას რომ ამ შეტაკებაში ზარალობს არა მარტო ქართველი ერი, არამედ ორ გზის და ოთხ გზის უფრო ზიანდება სომხის ერი. ახლო მომავალში სომხის ერი იძულებული გახდება განმარტოებით იცხოვროს როგორც ამიერ-კავკასიაში, ისე ოსმალეთში უბედელია ეს განმარტოება, ეს იზოლიუცია დიდად დააბრკოლებს ჩვენ კულტურასა და პოლიტიკურ განვითარებას ახლო მომავალში.“

მერე „მშაკი“ იმედს გამოსთქვამს, რომ „სომხის ნამდვილი დემოკრატია“ ბოლოს და ბოლოს გამოჰგლეჯს ხელიდან უფლებას იმ რეაქციონურს ძალებს, რომელნიც დღემდის მესვეურობენ სომხის საზოგადოებას, რომელთაც მათი ავანტიურისტული და აგრესიული პოლიტიკის წყალობით უფსკრულის პირს მიიყვანეს სომხის ერი, რომელთაც თავს დაატეხეს მას (სომ. ერს) დიდი ისტორიული უბედურება“.

ომი თუ ზავი? ამ საკითხზე არავის ჩვენში ორი პასუხი არა აქვს. მაშასადამე სომხის სინამდვილეში რაც ნამდვილი, გულწრფელი და მშვიდობიანობის მოყვარე ელემენტები მოიპოვება, რომელთაც კარგად აქვს შეგნებული ამ ომის საშინელი შედეგები სომხის ერისათვის, უნდა შეერთდენ რომ ხელიდან გამოჰგლიჯონ ომის მოტრფიალეთ ყოველნაირი საშუალება ამ ომის გაგრძელებისათვის.

ზავი, სასწრაფოდ ზავი და არა ომი!

საქართველოს და სომხეთის ომი

ტფილისი, დეკემბრის 22. საქართველოს მთავარ შტაბის ცნობა. ღამე ფრონტზე მშვიდობიანად ჩატარდა, დღით ხანგამოშვებით სროლა იყო.

ჰუმეტელების დეპეშა

დეკემბრის 20-ს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ მუსულმანთა სოციალისტურ ბლოკის და მენშევიკ-სოციალ-დემოკრატიული „გუმმეთი“ს პარტიისაგან დეპეშა მიიღო, სადაც ნათქვამია: იმ დროს, როდესაც მთელი ქვეყნის დემოკრატია 4 წლის სისხლის ღვრის შემდეგ დარწმუნდა რომ ყველა სადავო საკითხები უნდა გადასწყდეს არა ცეცხლითა და მახვილით, არამედ მსოფლიო ტრიბუნალის, არბიტრაჟით; იმ დროს, როდესაც კავკასიის ხალხთა დემოკრატია მთელ ძალღონეს თავიანთ სახელმწიფოთა მოწყობას ანდომებენ რევოლიუციით მონაპოვარ თავისუფლების შესარჩენად, ამ დროს კავკასიის ხალხთა შორის ჰხდება საშინელი ამბები რაიც დამღუპველია თავისი შედეგებით. სანაინსა და ყარაბაღის უბედურებანი შედეგია დამნაშავე ელემენტების მოქმედებისა, რომელნიც სცდილობდნენ ასეთის გზით გადეჭრათ სადავო საკითხები ადერბეჯანის სოციალისტური დემოკრატია მუდამ იმ აზრისა იყო რომ კავკასიის ხალხთა საკითხები მშვიდობიანის გზით გადაწყვეტილიყო. და დღესაც, როდესაც იღვრება ძმათა სისხლი, ჩვენ მოუწოდებთ კავკასიის რესპუბლიკათა მთავრობებს რათა მიიღონ მათ ყოველგვარი ზომები, ძმათა მკვლელ ომის შესაწყვეტად და მოუწოდებთ ყველა ხალხის დემოკრატიას. რომ მჭიდროდ შეკავშირდნენ რათა ნება არ მისცენ დამნაშავე ელემენტებს დემოკრატიის სისხლის ღვრისა და კავკასიის დემოკრატიის გაერთიანების დარღვევისა.

ბრძანება რესპუბლიკის ჯარებს მიმართ. დეკემბრის 21, 1918 წ. № 120, ვუცხადებ საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო უწყებას ყველა ჯარის კაცთა და ოფიცერთა საგულისხმოდ, რომ ფრონტიდან, ან საზოგადოდ ჯარის ნაწილიდან გაქცეული თავის უფროსის საბრძოლო ბრძანების არ შემსრულებელნი და ყველა ისინი, ვინც ჯაშუშობას და სახელმწიფოს საწინააღმდეგო აგიტაციას გასწევს სიკვდილით დაისჯებიან.

ხელს აწერს სამხედრო მინისტრი **გიორგაძე.**

სალიტერატურო-საესთეტიკო სალონი და სომეხ ქართველთა ომი

1918 წ. დეკემბრის 20-ს შესდგა ბ. ტიგრან ნაზარიანის სალიტერატურო-საესთეტიკო სალონის მორიგი კრება, რომელმაც მსჯელობა იქონია სომეხ ქართველთა ურთიერთობის შესახებ და დაადგინა:

„...მივმართოთ სომხეთის და საქართველოს მთავრობებს და ვსთხოვოთ გადაჭრილი ზომები მიიღონ რომ სასწრაფოდ შესაძლებელი გახდეს კონფერენციისა და არბიტრაჟის საშუალებით სამუდამოდ ბოლოს მოღება იმ ძმათა სისხლის მღვრელ ომის, რომლის მიერ დაჩნეული ჭრილობანი საუკუნოდ მოუშუშებელი დარჩება ორივე ერის მოძმე გულში.

ეს გადაწყვეტილებანი ეცნობოს სომხეთის და საქართველოს მთავრობებს და დაიბეჭდოს პრესაში სამს ენაზე: ქართულად, სომხურად და რუსულად“ ([illegible] ძ. № [illegible]).

ფოთის ამხანაგები.

საქართველოს სოც. ფედერალისტთა ფოთის ორგანიზაციის საზოგადო კრებამ ქართველ სომეხთა ომის გამო გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: იზიარებს რა მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს ორგანიზაცია მზად არის დაეხმაროს მთავრობას ყოველ ნაირ საშვალებით. გაუმარჯოს საქართველოს მთავრობას, გაუმარჯოს საქართველოს მხედრობას, გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. კრების თავმჯდომარე **ესაკია.**

გრ. ლადიძის რაზმის ჩამოსვლა

ქუთაისიდან ჩამოვიდა ამხ. გრიგოლ ლადიძის რაზმი, რომელმაც მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა მნახველებზე. იგი ფრონტზე მიემგზავრება.

გურიაში.

რამდენიმე ათასი მოხალისე შეგროვდა. ნაწილი უკვე ჩამოვიდა ტფილისში.

თელავის მაზრაში.

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

მობილიზაცია ბრწყინვალედ მიდის, ხალხი დიდის ხალისით ეწერება. არ რჩებიან არც მოხუცებულები და არც უწლოვანონი. ვერ მოუნელებიათ სომხების მხრით ასეთი თავხედობა. საუცხოო სიმშვიდე, სიწნარე და დარაზმულობაა. ჩვენ ხოლოდ ერთი შიში გვაქვს: ყველა ფრონტისაკენ მოიწევს და შინ კი თითქმის აღარავინ რჩება. შინაც დიდი საფთხე მოგველის. სოფლად მეზობლების პროვოკატორები დაძრწიან და გესლიანის ენით სთესენ ღვარძლს ხალხსა და მთავრობის შორის. ერთი ასეთი პროვოკატორი თელავშიაც დაიჭირეს.

იმდენად მწყობრად და შეგნებულად მოდიან ამ ხუთი-ექვსი თვის წინად მობოლშევიკე ჯარის-კაცები, რომ ვერ წარმოგიდგენია ასეთი დიდი ცვლილება რამ მოახდინა მათში. წინად თუ კახეთის მატარებლით ყველა ღვინით გაჟღენთილი ჩამოდიოდა, დღეს ყველა ფხიზელი და მდგომარეობის სერიოზობით გამსჭვალული მოდის.

ამ დღეებში თელავიდან ჩამოვიდა 28 სოც.-ფედ. მოხალისე რაზმელი და ყველა სადგურზე თავისი თავდაჭერილობით დიდ შთაბეჭდილებას სტოვებდა.

სანდრო მამ—შვილი.

სომხების ჩხრეკა.

საგანგებო რაზმმა გაჩხრიკა არამიანცის სახლი, სადაც სომეხთა ეროვნულ საბჭოს სხდომა ჰქონდა სახლის ყველა კარები შეკრეს და გარედ არავის უშვებდნენ. შიგნით დაიჭირეს საბჭოს მთელი შემადგენლობა. ჩხრეკამ საღამომდე გასტანა სახლში ასაფეთქებელი მასალა, იარაღი და ტომარით პატრონები იპოვნეს. კრებას თურმე პარლამენტის წევრნი თარხანოვი და თუმანოვი მეთაურობდნენ. სულ დააპატიმრეს 200-მდე კაცი.

სომხების ქონება.

ტფილისის ბანკებში დალუქეს სომხეთის მთავრობის და ეროვნულ საბჭოს სახელზე შენახული რამდენიმე მილიონი ფული.

სომხების დაპატიმრება.

(მთავრობის განცხადება)

როგორც კი სომხეთმა საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო მოქმედება დაიწყო—მთავრობამ შეამჩნია, რომ სომხები ყველგან ახდენენ მალულ მობილიზაციას და ტფილისიდან, აგრეთვე სომხებით დასახლებულ ადგილებიდან და რუსეთიდანაც კი სომხეთში ახალგაზრდებს მრავლად ჰგზავნიან.

შემჩნეულ იქმნა, რომ მოგროვება ჯარის-კაცებისა ჰხდება არამიანცის სახლში სომხის ეროვნულ საბჭოს ბინაზე და იმ ოთახებში, სადაც წინად სომხის დიპლომატიური მისია იყო. ამას ჩუმად ხელს უწყობდნენ დაშნაკციუთუნის პარტიის გამოჩენილი მოღვაწენი ეს შემჩნეული ამბავი გამართლდა დეკემბრის 20, ჩხრეკის დროს და ზემოხსენებულ სახლში დაპატიმრებულ იქმნენ ოფიცრები და ახალ-გაზდები, რომელთაც უწევთ სამხედრო ბეგარა—სულ 184 კაცი.

ამის გამო მთავრობამ განკარგულება გასცა ყველა ჯარისკაცების ჰასაკ ს ქვეშევრდომი სომხეთისა გამოცხადებულ იქმნან სამხედრო ტყვეებად და გაიგზავნენ ქ. ქუთაისში ხოლო დაშნაკციუტუნის პარტიის აქტიური წევრები, რომელნიც ხელს უწყობდნენ სომხის ჯარის კაცების შეგროვებას, დაჰპატიმრეს სასოგადო წესით.

ეს დადგენილება სისრულეში მოჰყავთ.

სოფლიდან ჩამოსულნი.

გუშინ ტფილისის ქუჩებში გაიარეს სოფლიდან ჩამოსულმა ჯარისკაცებმა ზურნით და დროშით, რომელსაც ეწერა: „გაუმარჯოს საქართველოს“,

ჭიათურიდან.

მთავრობის თავმჯდომარის სახელზე მიღებულია შემდეგი დეპეშა: ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა აქციონური საზოგადოების კრება თქვენის სახით მიესალმება ჩვენი რესპუბლიკის დემოკრატიულ მთავრობას და აცხადებს, რომ იგი ყოველის თავისი ძალღონით დაეხმარება მთავრობას სამშობლოს დაცვის საქმეში ვერაგი მტრის წინააღმდეგ. ჯარის საჭიროებისათვის კრებამ გადასდო 150,000 მან. დიდება. ქვეყნისა და თავისუფლების დამცველ ჯარს და გვარდიას.

საქართველოს რესპუბლიკის მთავარ შტაბის ცნობა.

გუშინ დეკემბრის 22 სადახლოსთან მთელი დღის განმავლობაში ძლიერი ბრძოლა იყო. მტრის ძლიერი ძალა შეტევას აწარმოებს სადახლოსთან შემოტევის დროს სოფელ შულავერის მცხოვრებლებმა გააფუჭეს ტელეგრაფი და რკინის გზა რამოდენიმე ადგილას, ბრძოლა გრძელდება. მიღებულია სათანადო ზომები.

—

როგორც ცნობა მრვიდა ჩვენებს შულავერი დაუჭერიათ და დამნაშავენი სასტიკად დაუსჯიათ.

საქართველოს და სომხეთის ომი სადახლოში

დეკემბრის 18 სომხები ორას კაცამდე მოტყუებით შემოგვეპარნენ სადგურ სადახლოში. პირველად ჩვენებმა ბრძოლა არ მიიღეს, რადგან მათი გარეგნობა და მკაფიო ქართული მოწმობდა მათ სიტყვებს: „თქვენები ვართ, ძმებო არ გვესროლოთო“ როტმისტრი დადიანი მიხვდა ვერაგობას მალე ყველა ძალებს აცნობა, შეცდომაში შეიოდნენ და ამიტომ ჩვენებმა სულ მცირე ძალით შეუტიეს მოღალატეებს. ამ ბრძოლაში გმირულად ხმალით ხელში ტყვიით განგმირულ იქმნა დადიანი, დაგვიჭრეს პოლკოვნიკი იმნაძე და პორუჩიკი თუხარული; დაიჭრა ჩვენი მხრით 8 ჯარის კაცი და ერთი მოგვიკლეს რომლის ვინაობა ვერ გავიგეთ. ჩვენების შეტევით თავრეტ დასხმულნი გაიქცნენ. ბრძოლის ველზე მკვდარია ასი სომეხი, ხოლო ტყვეები 37 კაცი ტფილისში გამოგზავნეს იმავ საღამოს. მათ შორის არის ორი ოფიცერი ტფილისელი მოქალაქენი. ერთი რუსია და მეორე სომეხი.

ირკვევა, რომ მთელმა ბორჩალოს სომხის სოფლის მცხოვრებლებმა გვიღალატეს. აი, რა მოხდა.

ეკატერინფელდში ჩვენები ღამით 18 ავიდნენ გათენებისას ჩვენებს ჯერ არ მიეხედ-მოეხედათ გარშემო, რომ გორებიდან დაშვებულან სომხები მისცვივნიან და ზარბაზნების წართმევაც კი დაუპირებიათ. მალე სახალხო გვარდიის დაუჭერია პოზიციები, გაუტანია სახლის თავებზე ტყვიისმფრქვეველები და შეუტევია ქურდულად თავდამცემთათვის: ჩვენებმა უსწორო ბრძოლაში სძლიეს უსინიდისო მეზობლებს მოუკლეს 200 კაცი და ტყვედ წამოიყვანეს 80 სომეხი, რომელნიც ღამით დეკემბრის 19 ტფილისის სადგურზე მოიყვანეს. მათ შორის ტყვედ წამოყვანილია ორი ტფილისელი სომეხი ოფიცერი, მოკლულ კარჩიკიანის ძმა და სარქისოვი. სამწუხაროდ ამ ბრძოლაში მოგვიკლეს სახალხო მილიციის გვარდიის შტაბის თავმჯდომარის ამხანაგი მაისურაძე, დაგვიჭრეს 20-მდე და მოგვიკლეს 13 გვარდიელი. უმთავრესობა ეკატერინფელდში თავდამცემთა სოფლელები არიან. ის აზრი, რომ ბორჩალოელმა სომხებმა გვიღალატეს, უკვე აშკარა ფაქტია.

ღამით დეკემბრის 18—19 ფურცელაძის მცირე რაზმს 25 კაციდან შემდგარს შულავერსა და სადგურ აზაგასერალის შუა მოდარაჯე თვით შულავერელებმა ალყა შემოარტყეს და დააპატიმრეს მათ გასანთავისუფლებლად იქნება ჯეროვანი ზომები მიღებული. ჩვენი ჯარის ყველა ნაწილი სომეხთა ვერაგული საქციელით გამწარებული გალომებულია. საჭიროა კიდევ და კიდევ მეტი ძალები გამოიგზავნოს. დაწვრილებით გაცნობებთ ყველასფერს.

—

სადახლო. ვსთხოვ ყველა ჩვენ ქართულ და რუსულ გაზეთებს ათ-ათი იქნეს თუ მეტი ყოველ დღე გაზეთები გვიგზავნონ სადგურ სადახლოში. ჩვენი მხედრობა ძლიერ მოშივებულია გაზეთებს.

ქაქუჩელა.

საქართველოს პარლამენტი

(პარასკევი, დეკემბრის 20).

(დასასრული)

სამხედრო მინისტრის მოხსენება.

სამხედრო მინ. გრ. გიორგაძე. მოქალაქენო! მას შემდეგ, რაც გამოირკვა, რომ სომხეთის მთავრობას არ სურს მშვიდობიანის გზით დააბოლოვოს სადავო საკითხები; მას შემდეგ, რაც გამოირკვა, რომ ჩვენს ტერიტორიაზე შემოიჭრნენ არა ბანდები, არამედ სომხეთის რეგულიარული ჯარი; მას შემდეგ, რაც აშკარა შეიქმნა ყველასათვის, რომ მეზობელმა სახელმწიფომ საომარი მოქმედება დაიწყო, რასაც დღეს არც სომხეთის დიპლომატია მალავს; ამის შემდეგ მთავრობის განკარგულება გასცა, უბრძანა თავის ჯარს, რომ აქტიური მოქმედება დაეწყო დასაცავად. და აი დღევანდელ დღეს ეს სამხედრო მოქმედება შემდეგ მდგომარეობაშია:

ჩვენ მოველოდით, რომ ის მოღალატურ თავდასხმას ჩაიდენდა მეორე მეზობელ მაზრაშიც. ეს მოლოდინი გამართლდა დეკემბრის 16-ს, დილის 5 ს. სომხეთის რეგულიარული ჯარის ნაწილები თავს დაესხა იმ ყარაულებს, რომელიც იცავდა ჩვენს საზღვარს ახალქალაქის მაზრაში. ამ პირველი შეტევის დროს ჩვენმა ჯარისკაცებმა უკუაქციეს მათი შემოტევა და მათ ტყვედ ჩაუვარდათ მხოლოდ ერთი ჯარის კაცი. გავიდა დრო და მათ კიდევ მეორე შეტევა დაიწყეს: აქ მათ უკვე აამუშავეს ტყვიისმფრქვეველები და სხვა საომარი მასალა ეს შემოტევაც უკუგდებულ იქმნა. ამის შემდეგ, 8 საათზე კიდევ დაწყებულა შემოტევა: მოწინააღმდეგემ ჩვენ ჯარებს შემოუტია, ეხლა უკვე ზურგში გამაგრებული ცხენოსნებით და ტყვიისმფრქვეველებით დაიწყო სასტიკი ბრძოლა, რომელიც გაგრძელდა 8 საათიდან 6 საათამდი. პოზიციები ხან ერთის ხელში გადადიოდა, ხან მეორის. ბრძოლა იმით გათავდა, რომ მოწინა-

---

*) იხ. „სახ. ს.“ № 414.

ალმდეგის ჯარი უკუაქციე, დაედევნენ და საზღვარს მიაღწიეს. ამ სახელოვან ბრძოლაში როგორც გვატყობინებს გენ. მაყაშვილი თავი ისახელეს პოდპ. ხერხეულიძემ და კაპიტანმა მალალაშვილმა.

მეორე დღეს ბრძოლა მოწინააღმდეგის ინიციატივით გაჩაღდა სანაინის მიდამოებში. სანაინის მიდამოეში ჩვენმა ჯარმა ხელსაყრელი პოზიციები დაიკავა დეკემბრის 17, საღამოს 5 საათზე მოწინააღმდეგემ ისარგებლა მით რომ ცოტა შეღამდა და ნისლი იყო, დაეშვა მთებიდან და დაიწყო შეტევა იმ პოზიციებისაკენ, რომელიც ჩვენ ჯარს ჰქონდა დაჭერილი. გენ. წულუკიძე გვატყობინებს, რომ 2 საათის შემდეგ მტერი შევაჩერეთ; რამდენიმე ხნის შემდეგ ბრძოლა განაახლეს და ჩვენ მოვახერხეთ, რომ ალყა შემოგვერტყაო: ვინც იყო ტყვედ წამოვიყვანეთ, დანარჩენი მთებში გაიქცაო. საინტერესოა, რომ ტყვე ოფიცრებს შორის არის ერთი რუსი ოფიცერი. ჩვენს ჯარს ჩაუვარდა ნიშანი, რომელსაც ჯარის ნაწილი ატარებს. როგორც ბრძოლის ხელმძღვანელი გენ. წულუკიძე გვატყობინებს, ბრძოლაში დაიღუპა სახელოვანი დადიანი (ამ დეპეშას მინისტრი რუსულად ჰკითხულობს; **გრ. ვეშაპელი** ადგილიდან: ჩვენმა გენერლებმა რით ვერ ისწავლეს ქართულად წერა. მთელი პარლამენტი აღშფოთებული მიიხედას ვეშაპელისკენ.

მესამე ბრძოლა მოხდა ვორონცოვკასთან. იქ ბრძოლა 19 ს სწარმოებდა. აქ ბრძოლას ხელმძღვანელობენ გენ. ახმეტელაშვილი და ვ. ჯუღელი. ისინი გვატყობინებენ, რომ ეკატერინენფელდში მივიდნენ გვიან ღამით, იქ მათ გვარდია უცდიდა. მოსულმა გვარდიამ ვერც კი მოასწრო გახდა დასაწოლად, რომ დილის 6 საათზე მოწინააღმდეგემ ალყა შემოარტყა მათ. ყარაულები იძულებული იყვნენ დაეხიათ და მოწინააღმდეგე შემოიჭრა იქ, სადაც გვარდიის ბატარეია იყო. და აი, აქ მოხდა საშინელი ბრძოლა. ჩვენებს წინ მუძღოდნენ ვ. ჯუღელი, ალ. მაისურაძე და ალ. დგებუაძე. თუმცა ჩვენები სტრატეგიულად ცუდ პირობებში იყვნენ, მაგრამ მათ შესძლეს მტრის სასტიკად დამარცხება: მტერს წაართვეს 2 ზარბაზანი, რამდენიმე ტყვიის-მფრქვეველი. დილის 6 საათზე გენ. ახმეტელაშვილი გვატყობინებდა: სწარმოებს დიდი ბრძოლა და არ მაქვს საშუალება ამ ჟამად შეგატყობინოთ ყველაფერიო. ბრძოლა შუადღემდის სწარმოებდა და რომ გათავდა გენ. ახმეტელაშვილმა გადმოგვცა ცნობა, რომელიც სასიხარულოა და იმავე დროს სამწუხაროა: მტერი სასტიკად დამარცხდა, ის გარბის, ჩვენები დაედევნენ. აქვე იყო მოხსენებული, რომ ბრძოლაში დაიღუპა სანდრო მაისურაძე.

დღეს ჩვენ ახალი ცნობა მივიღეთ, რომ ახალქალაქის მაზრაში მოწინააღმდეგეს კვლავ განუახლებია მოქმედება. შეტევა დაიწყო ქვეითა ჯარმა, რომელსაც თან ახლავს არტილერია. როგორც ბრძოლის ხელმძღვანელი იტყობინება, ჯერ უპირატესობა ჩვენ გვაქვს: მტერი უკუ ვაქციეთ, ტყვედ ჩაგვივარდა 60 ჯარის-კაცი, 2 ოფიცერი; ამას გარდა წავართვით 2 ტყვიის-მფრქვეველი და ერთი ტელეფონის აპარატი (ტაში).

გუშინ აგრეთვე სანაინის რაიონში სწარმოებდა ბრძოლა. იქაც შეეცადა მტერი ჩვენი პოზიციები დაეკავებინა. აქაც ჩვენი ჯარი მედგრად დგას და მტერს ერთს ნაბიჯს ჩვენი ტერიტორიისას არ უთმობს.

აი, დღეს მდგომარეობა სამხედრო მოქმედებისა ასეთია და იმედი გვაქვს, რომ დღიდან დღეზე საქმე გამოკეთდება. პროვინციებიდან მოსული ცნობებით თავდაცვის საქმე იქ ნაყოფიერად სწარმოებს. აშკარა შეიქმნა, რომ ის ტყვია რომელმაც განგმირა ნამდვილი მუშაშაკის, სახალხო გვარდიის ერთი მთავარი პიროვნების სანდრო მაისურაძის გული, რომლის ხელში გაიზარდა ეს გვარდია, მიმართულია დემოკრატიის წინააღმდეგ, თავისუფლების წინააღმდეგ, რევოლიუციის წინააღმდეგ. თქვენ გახსოვთ ის სურათი რომელიც თქვენ წინ გადიშალა, როდესაც ჩვენ ექვსი თვის არსებობის ვიდღესასწაულეთ: თქვენ გახსოვთ ის მუშა, რომელსაც აქ (აჩვენებს მარცხნივ) დროშა ეჭირა, ის ჯარის-კაცი, რომელსაც აქ (მარჯვნივ) მეორე დროშა ეჭირა. ამ დროშების წინააღმდეგ არის მიმართული მტრის მოქმედება. ეს დროშები უჭირავს ჩვენს ჯარს, ჩვენს გვარდიას და ნურავინ იფიქრებს, რომ ის ნებას მისცემს ეს დროშები შეურაცჰყონ

ჩვენი ვალია მივიღოთ ზომები, რომ შებრძოლთა ოჯახები უზრუნველნი იყვნენ.

მოქალაქენო! მე ვათავებ სიტყვას სამხედრო მოქმედების შესახებ და იმედი უნდა მივაწოდოთ ჯარს, გვარდიას, რომ მათთან ერთად არის მთელი ხალხი, რომელიც იარაღს ისხავს იმისათვის, რომ დაიცვას თავისუფლება და დამოუკიდებლობ (ძლიერი ტაში).

აფხაზეთის სახალხო საბჭოს რაჩევნები.

გრ. რცხილაძის (იურიდიული კომ. წ.) მოხსენებით მიღებულია აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნების კანონ-პროექტი.

მოკლე-ვადიანი ვალდებულების გამოცემა.

ი. ლორთქიფანიძის (საფინანსო კომ. წ.) მოხსენებით მიღებულია კანონ-პროექტი მოკლე-ვადიანი 5 პროც. სახელმწიფოს ხაზინის ვალდებულების გამოცემისა.

კრება იხურება ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე.

გერმანული პრესის ცნობები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო.)

რეინის მიწები.

პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრის თათბირმა გადასწყვიტა, რომ რეინის მიწები უნდა დარჩეს გერმანიას და ყველა უნდა შეებრძოლოს იმ ტენდენციას, რომელიც მიმართულია ამ მიწების გერმანიისგან ჩამოშორებაზე.

ცენტრის პარტიის მიტინგზე ესსენში, ცენტრის პარტიის დეპუტატმა ბელმა პროტესტი განაცხადა რეინის მიწების საფრანგეთთან შეერთების, ან და მის ცალკე სახელმწიფოთ გამოყოფის ცდაზე, რეინის მიწები გერმანიას უნდა დარჩეს.

ლ. არენსი.

გაანთავისუფლეს პრუსიის ყოფილ მთავრობის განკარგულებით სოციალისტურ ტენდენციებისთვის დაპატიმრებული ბერლინის უნივერსიტეტის ლექტორი ლეო არენსი. მას უბოძეს პროფესორის ხარისხი.

ტროპაუს დაჭერა.

ცნობილი გერმანული ქალაქი ავსტრიის სილეზიაში ტროპაუ დეკემბრის 18 დაიჭირა ჩეხო-სლოვაკებმა.

პოლონეთი და გერმანია.

პოლონეთსა და გერმანიის შორის დიპლომატიურ კავშირის შეწყვეტას პოლონეთის მთავრობა იმით ხსნის, რომ გერმანელებმა პოდლაზვენში დარბევა გააძლიერეს.

ინგლისური პრესის ცნობები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო.)

სამშვიდობო კონფერენცია.

სამშვიდობო კონფერენციას იანვრის 15-თვის მოიწვევენ. სამშვიდობო კონფერენციის მუდმივი კომისია ბრიუსელში იქნება.

დამოუკიდებელნი.

ბერლინიდან მოსულ ცნობების თანახმად დამოუკიდებელ სოც.-დემ. გადასწყვიტეს მხარი დაუჭირონ ნაციონალურ ყრილობის არჩევნებს, ეს გადაწყვეტილება სპარტაკის ჯგუფის დამარცხებას ნიშნავს.

ფრანგული პრესის ცნობები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო.)

ალანდის კუნძულები.

სტოკჰოლმიდან იუწყებიან: შვედური გაზეთების ცნობით შვეციის მინისტრმა ჰელსინგფორსში ფინლანდიის მთავრობას გადასცა ნოტა, რომელიც აღნიშნავს, რომ ალანდიის კუნძულის მცხოვრებნი სურვილს გამოსთქვამენ კუნძული შვეციას შეუერთდეს.

მოსკოვის ცნობები

(საქ. დეპ. სააგენტო)

კარნოფონი. 21 დეკემ. ციურიხიდან მიღებულია ცნობა, რომ ჰინდენბურგმა აცნობა გერმანიის მთავრობას, რომ მას აზრადა აქვს ახალი ფრონტის შექმნა ნეიტრალურ ზონის 10 კილომეტრის უკან.

მოკავშირენი წინააღუდგებიან ამ ფრონტის შექმნას. როგორც სჩანს, გერმანიის მთავრობას არ შესწევს ძალა ებრძოლოს ჰინდენბურგს.

ახალი ამბავი

◆ **პროფ. ივ. ჯავახიშვილმა** სოც.-ფიდერალისტთა კლუბში კვირას, დეკემბრის 22 წაიკითხა ლექცია: „საქართველოს სამხრეთის საზღვრები და ბრძოლა მათ გამო ქართველ-სომეხთა შორის“. ლექცია ფრიად შინაარსიანი იყო და აუარებელი ხალხი დაესწრო. დაწვრილებით ხვალ.

◆ **თელაველი სოციალ-დემოკრატები.** შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე თელავიდან მიღებულია შემდეგი დეპეშა: თელავის სოც.-დემოკრატიული ფრაქციის სომეხი წევრები უცხადებენ დღეს დეკემბრის 19, სომხეთის მთავრობას პროტესტს სანაინში ორ ძმათა შორის უმანკო სისხლის დაღვრისთვის. ჩვენ, სომეხი სოციალ-დემოკრატები მუდამ ხელი-ხელ ჩაკიდებულნი მივდიოდით ქართველ დემოკრატიასთან ერთად მტრის წინააღმდეგ და შემდეგშიაც ასევე ვიქნებით. ყოველთვის ერთად ვიდგებით იარაღით ხელში, როგორც ისე შინაურ მტრებს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის დასაცავად. ჩვენ, სომხების დემოკრატია, ვუცხადებთ საქართველოს მთავრობას სრულ ნდობას და ვთხვთ ყველას, განურჩევლად ეროვნებისა გაგზავნილ იყვეს საქართველოს დამოუკიდებლობის და საცველით, ქართველ დემოკრატიასთან ერთად სომხის დემოკრატიაც, რომელიც არა ნაკლებ დაიცავს საქართველოს, სადაც ისინი აღზრდილან და თავის მოძმე ქართველებთან ერთად უღვრიათ სისხლი. სომეხთა სოც.-დემოკრატიის ფრაქციის წევრები. თელავი.

◆ **კრებები.** სამშაბათს, დეკემბრის 24, საღამოს 6 საათზე ფრეილინის ქ., № 11, შესდგება საერობო და სამუნიციპალო სექციის კრება (სატეხნიკო საზოგადოებისა).

— ოთხშაბათს, დეკემბრის 25, საღამოს 7 საათზე, ფრეილინის ქ., № 11, ინჟ. ს. კირკისალოვი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „ელექტრონული რკინის გზები საქართველოს რკინის გზათა ელექტრო ფიკაციასთან დამოკიდებულებაში“.

◆ **მეომართა დამხმარე კომიტეტში.** კვირას, საღამოს 5 საათზე კომიტეტის ბინაზე შესდგა კრება. არჩეულ იქმნა პრეზიდიუმი: თავმჯდომარედ ქ-ნი ნ. გაბაშვილისა, თავმჯდომარის ამხანაგებად—ელ. ელიავასი და მ. რამიშვილისა ხაზინადრათ—ქ-ნი გვაზავასი და ნ. მაჭავარიანი, მდივნად ქ. შარაშიძე კრებაზე გამოცხადდენ წარმომადგენელნი—ქალთა საზოგადოებისა, მასწავლებელ ქალთა ჯგუფისა, ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურე ქალთა საზოგადოებისა და სახელმწიფო უნივერსიტეტი მსმენელ ქალთა ჯგუფისა. მათ სურვილი გამოსთქვეს შეუერთდნენ დამხმარე კომიტეტს; იყოლიონ წარმომადგენელნი კომიტეტის პრეზიდიუმში; შეიმუშავონ პრეზიდიუმთან ერთად სამოქმედო გეგმა და გაანაწილონ სამუშაო გაერთიანებულ საზოგადოების წევრთა შორის. დამხმარე კომიტეტი სრული თანაგრძნობით შეხვდა ამ გადაწყვეტილებას.

◆ **ქართული სამუსიკო საზოგადოება** შაბათს, დეკემბრის 28 კონსერვატორის დარბაზში გაიმართება 3 კამერული კონცერტი სკანდინავიის მუსიკისა ქ. ა. ს. ვოლ-ლევიცკის და ქართულ სამუსიკო სკოლის კვარტეტის მონაწილეობით.

◆ **კოოპერატიული სასადილოს გახსნა.** კვირას, დეკემბრის 22-ს გაიხსნა კოოპერატიული სასადილო, რომელიც იმყოფება ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ. სადილები მზადდება აგრეთვე ვეგეტარიანული და ჩვეულებრივიც, ფასები მეტად ხელმისაწდომია.

◆ **თელავის სომხები.** თელავის სომხობა თავის მრავალ რიცხოვან კრებაზედ 21 დეკემბერს მსჯელობის შემდეგ შექმნილ მდგომარეობაზედ საქართველოს და სომხეთის შორის პროტესტს უცხადებს იმ ავანტიურისტების მოქმედებას რომლებიც დაბანაკებულნი არიან სომხეთში, ვისი მოქმედებითაც არის გამოწვეული ეს შეტაკება ორ მოძმე ერთა შორის სალამს უძღვნის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას დაჰპირდება ყოველ გვარ დახმარებას დემოკრატიულ რესპუბლიკის დაცვაში ამასთანავე გთხოვთ მიიღოთ ყოველ გვარი ზომები მოძმეთა ერების სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად თავჯდომარე ხითაროვი. მდივანი სტეფანოვი.

◆ **სტუდენტების კრება.** სამშაბათს, დეკემბრის 24-ს, საღამოს 3 ნახ საათზე უნივერსიტეტის შენობაში გოლოვინის პრ. № 10 ფიზიკურ აუდიტორიაში დანიშნულია ამიერ-კავკასიის კერძო უნივერსიტეტის ყველა ქართველ სტუდენტების კრება.

ვთხოვთ ყველას ქართველ სტუდენტებს დაესწრონ, რადგანაც სასწრაფო კითხვებია გასარჩევი მომენტის შესახებ.

◆ **სახელმწიფო კანტროლის მოსამსახურებმა** თავიანთ შორის შეაგროვეს 1900 მანეთი ნახევარი ჯარს გადაეცემა, ნახევარი გვარდიას.

◆ **დაღუპული გვარდიელები.** სანაინთან ბრძოლაში დაიღუპნენ: ა. მაისურაძე, ლ. გორდერძიშვილი, ნ. ფარჩნაძე, კ. ცინცაძე, ი. თავართქილაძე, ქ. კატიკაშვილი, დ. ვაჩეიშვილი, ლ. ფანცულაია, დ. დავითაშვილი, ზ. კუტუხაშვილი, ა. კროპი, ვ. დევიძე, ნარიმანოვი, კ. დოლიძე და სხვა.

◆ **ინგლის-საფრანგეთის მისია.** ტფილისში ჩამოვიდა დეკემბრის 20-ს საღამოს 8 ს. ბაქოდან

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

შემოწირულება სამხედრო საბჭოს ფონდის გასაძლიერებლად შემოსწირეს. კ. პ—შვილი 100 მან ი. იაკაშვილი 150 მან. კიკიანი—50 მან. ინჟინერ ვ. ვაწაძე 50 მან. სოფ. ტარუაშვილის ოჯახი—50 მან.

სამხედრო საბჭო მადლობას სწირავს შემომწირველთ.

ოთხშაბათს საღამოს 5 საათზე დანიშნულია ყველა სასწავლების მოწაფეთა საერთო კრება გასარჩევია საკითხი შეიარაღების შესახებ ამხანაგებს ევალებათ აუცილებლათ დაესწრნონ ამ კრებას.

სოც. ფედერ. ფარმაცევტთა კრება დღეს, დეკემბრის 24-ს საღამოს 9 საათზე დანიშნულია პარტიულ მთავარ ბიუროში სოციალ ფედერალისტ მუშა ფარმაცევტთა კრება. ამხანაგების დასწრება სავალდებულოა

საზოგადო კრება წევრების და რაზმელებისა, დღეს, საღამოს ექვს საათზე პარტიული კლუბის დარბაზში დანიშნულია საზოგადო კრება წევრებისა და აგრეთვე ყველა რაზმელისა და ბათომის პოლკის პარტიზანებისა.

მთავარი კომიტეტისა და ფრაქციის წევრები გააკეთებენ მოხსენების მამენტის შესახებ სამხედრო საბჭო.

ძეგვის ხიდის აფეთქება

სასამართლოში

შაბათს, დილის 10 საათისათვის დანიშნულია ყოფილ სასამართლო პალატის დარბაზში საგანგებო სასამართლოს სხდომა. სასამართლოს გასარჩევი აქვს ძეგვის ხიდის აფეთქების საქმე, რომლის გამოძიება თითქმის ორი თვეა სწარმოებს.

დილის 10 საათზე საგანგებო დარაჯებს მოჰყავთ სასამართლოში ძეგვის ხიდის აფეთქების მომწყობნი სამხედრო ინჟენერი, პოლკოვნიკი გიორგი შმაგაილოვი—43 წლისა, ბორჩალოს მაზრის მცხოვრები და „დაშნაკციუთუნის“ პარტიის წევრი მიხეილ (იგივე სარგის) კუჩარიანი—37 წლისა და „დაშნაკციუთიუნის“ პარტიის წევრი აკოფ კიურნიულიანი 30 წლისა.

სასამართლოს კარებთან აუარებელი ხალხი მოზღვავებულა; უბილეთობის გამო ბევრი იძულებულია უკან დაბრუნდნენ დამსწრეთა შორის ორი ინგლისელი კაპიტანია: ხოლსი და მოტერი და კიდევ ორი ინგლისელი.

სრულ 11 საათზე დარბაზში შემოდიან სასამართლოს წევრები. საგანგებო სასამართლოს თავმჯდომარეა ი ჯაფარიძე, თავმჯდომარის ამხანაგი ყარასევი და წევრი სილ. ჯიბლაძე.

ბრალმდებელნი არიან ჩხატარაშვილი და კანდელაკი.

შმაგაილოვს, კუჩარიანს და კიურნიულიანს ბრალი ედებათ იმაში, რომ მათ მოაწყეს ძეგვის ხიდის აფეთქება, ამის გარდა კუჩარიანს ბრალდება, რომ მან შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია მილიციონერებს სოფ. დილომში სადაც ის შეპყრობილი მოიყვანეს.

სამოქალაქო საჩივარს ძრავს მ. ზუბალაშვილი. ის საქართველოს რკინის გზების სამართველოს სახელით უჩივის ბრალდებულს 215.520 მანეთს ხიდის აფეთქებით ზარალის მიყენებისათვის ამის დაცვა ვალდებული აქვთ საქართველოს პარლამენტის წევრს პ. ქავთარაძეს, ნაფიც ვექილს დემიდოვს და პოტებნიას.

ბრალდებულებს იცავენ ნაფიცი ვექილები ზელინსკი (იცავს შმაგაილოვს) გეპშტეინი (კიურნიულიანს) და პოპოვიანცი (კუჩარიანს).

ჰკითხულობენ მოწმეთა სიას; სულ დაესწრო 29 მოწმე: 17—ბრალმდებელთა და 12—დამცველთა მხრით, შვიდი მოწმე დამცველებისა არ გამოცხადებულა ამიტომ დამცველები შუ მდგომლობენ სასამართლოს წინაშე, რათა საქმის გარჩევა გადადებულ იქნეს მოწმეთა დაუსწრებლობის გამო.

11-ნახ საათზე სასამართლო გადის სათათბიროდ.

12 ს. 50 წ. სხდომა გრძელდება. სასამართლოს დადგენილებას დ მცველთა შუამდგომლობის შესახებ: მოწმე შაუმანი არ დაესწრო იმიტომ რომ მას საშუალება არა აქვს მოვიდეს ტფილისში არ იმყოფება. მის ჩვენებას მისი მეუღლე წარმოადგენს (შაუმანის ჩვენება შეეხება დინამიტის შეძენას ბრალდებულთა მიერ); დანარჩენ მოწმეების ჩვენება სრულებით არ არის საყურადღებო და მათი დაუსწრებლობით არაფერი დაშავდება. ამ გვარად, დამცველთა შუამდგომლობა შეწყნარებული არ არის და საქმის გარჩევაც გრძელდება.

თავმჯდომარე ი. ჯაფარიძე ჰკითხულობს საბრალმდებლო ოქმს.

საბრალმდებლო ოქმი

1918 წლის, ნოემბრის 1-ს, დილის 5 საათზე სად ქსანის მახლობლად დაბანაკებული დარაჯებს მოესმათ აფეთქება. შეშინებული დარაჯები ყაზარმებიდან გამოსვლას ვერ ჰბედავდნენ დარაჯთა უფროსი იოსებ ცაგურია გავიდა ფონარით ხელში და დათვალიერების შემდეგ დარწმუნდა, რომ დაზიანებული იყო ძეგვის ხიდი. ცაგურიამ შეატყობინა ეს გზის ოსტატს ა. საყვარელიძეს. ოსტატი მოსამსახურეებთან და სოფლელებთან ერთად მოვიდა ხიდზე და დათვალიერების შემდეგ აღმოაჩინა, რომ ხიდი აუფეთქებიათ დინამიტის პატრონებით. იქვე იპოვეს კალათა, რომელშიც იყო ცარიელი ბოთლი, ბიქფორდის მავთული, თეთრი პურის ნატეხი, პაპიროსის ნამწვი და წუმწუმა. კალათასთან ეგდო მატარებლის ბილეთი, მეორე კლასის ტფილისიდან ქსნის სადგურამდე. ეს მატარებელი ტფილისიდან გამოვიდა ღამით თერთმეტის ნახევარზე და შიო-მღვიმის პლათფორმაზე იყო დაახლოვებით 12 საათზე აქ ის არ გაჩერებულა, ხოლო ლინდავის ყარაულმა ნიკო უთუთლაშვილმა შენიშნა, რომ პლათფორმასთან ჩამოხტა რამდენიმე პირი.

დილით ექსპერტებმა დაათვალიერეს ხიდი და ის დასკვნა გამოიტანეს რომ ხიდი აფეთქებულია „ვინერის სააქციონერო საზოგადოების ქარხანაში დამზადებულ დინამიტით, რომ ყველაფერი, რაც კი საჭირო იყო აფეთქებისათვის, წინასწარ იყო დამზადებული ამფეთქებელი უნდა ყოფილიყო არა ნაკლებ ოთხისა. სჩანს მათ არ ჰქონიათ საკმაო ასაფეთქებელი მასალა, თუ არა და ფუთი ან ფუთნახევარი დინამიტი სრულებით საკმარისი იქნებოდა ხიდის სავსებით ასაფეთქებლად ეხლა კი მათ მხოლოდ ხიდის დაზიანება შესძლეს.

ძეგვის ხიდი ერთი მთავარი ხიდთაგანია ბათომ-ტფილისის გზაზე თავისი კონსტრუქციით ამას გარდა მას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობაც აქვს. აფეთქების გამო ხიდი იმდენად დაზიანდა, რომ შეუძლებელი შეიქნა საქონლისა და სამგზავრო მატარებლის მიმოსვლა ამ ხიდით.

იმავე დღეს ნაშუადღევის 4 საათზე სოფ. ძეგვის მცხოვრებს, ვანო სუხიაშვილს, ტყეში შეხვდა ორი კაცი—სომეხი და რუსი. სომეხმა უთხრა სუხიაშვილს, რომ ისინი დაიბნენ და სთხოვდა ესწავლებინა კავკავის გზა. სუხიაშვილმა უკვე იცოდა აფეთქების შესახებ, იცოდა, რომ მილიციონერები ეძებდნენ ბოროტმოქმედებს და რადგან მას ის სომეხი და რუსი საეჭვო პირებად ეჩვენა, წავიდა და ყველაფერი ნახული გადასცა მილიციონერებს. ნოემბრის 2 ს. დილით სოფ. დილომის მცხოვრებლებსა გიორგი მზარეულიშვილმა და ნიკო ლასხურიშვილმა, რომელნიც სხვებთან ერთად ბოროტმოქმედებს ეძებდნენ, შენიშნეს რომ მთებში იმალებოდა ორი კაცი—სომეხი და რუსი. სართიჭალის კომისარმა ხაქ. ჯაფარიძე—ხიზანაშვილმა შეატყობინა ეს შინაგან საქმეთ მინ. საგანგებო რაზმის უფროსის თანაშემწეს პლ. ფაჩულიას მასთან ერთად და ტფილისის მაზ კამისართან იოსებ გომართელთან ერთად, წავიდა ტფილისიდან ნოემბრის 2—ს. ღამით ბოროტმოქმედთა მოსაძებნად. დილის 7 საათზე, დილომის მახლობლად, ტფილისიდან 9 ვერსის მოშორებით დაიჭირეს ერთი უცნობი რომელმაც სთქვა გრიგოლ ლონგვინის ძე შაროშინი ვარო იგი არეულ ჩვენებას იძლეოდა: ხან ამბობდა ყაჩაღებმა გამძარცვესო, ხან კიდევ—მეგობრებმა დამათვრესო, ქალაქს გარედ უგრძნობლად დამადეს გამძარცვეს და გაიქცნენო. იმავე დროს დიდი სროლის შემდეგ შეპყრობილ იქმნა მეორე უცნობი, პროფესიით „სლესარი“ მიხეილ (იგივე სარგის) კუჩარიანი. შეპყრობილი ხელში იყო დაჭრილი. მას ჰქონდა მოწმობა, რომ იგი არის „დაშნაკციუთიუნის“ პარტიული ბიუროს დარაჯი. მან სთქვა ტფილისიდან წამოველ სოფლებში სანოვაგის საყიდლადო.

დაჭრილი კუჩარიანი აჩვენეს შაროშინს; მან სთქვა კუჩარინს არ ვიცნობო, ხოლო კუჩარიანი დაბეჯითებით ამტკიცებდა შაროშინი ჩემი ამხანაგია. ერთად წამოვედით ტფილისიდან სანოვაგის საყიდლადო. ორივენი გასინჯეს და გაჩხრიკეს: საცვლები და ფეხსაცმელები ჰქონდათ დასველებული ორივეს ტანზე პატარა ჭრილობები ჰქონდათ, რაც შეიძლება წამლის აფეთქებას მიეყენებინოს მათთვის. გაჩხრეკისას შაროიანს აღმოაჩნდა ცოტაოდენი ფული, ოქროს ბეჭედი და სხვა ოქროს ნივთეულობა; კუჩარიანს – ხიზილალა,

სანთელი, ლუქი და სხვ. გაჩხრიკეს აგრეთვე შაროშინის ბინა პეტროგრადის ქუჩაზე: იქ აღმოჩნდა ბოკფორდის მავთული ისეთივე, როგორიც ხიდზე იპოვეს, წიგნი „აფეთქების და ამოთხრის წარმოება." მოსახვევი მავთული ისეთივე, როგორიც ხიდზე აღმოჩნდა კვიტანცია დინამიტის ყიდვის შესახებ და სხვა.

გამოძიებამ გამოარკვია, რომ შაროშინი ნამდვილი გვარია, შმაგაილოვი და მას კავშირი ჰქონია რუბენ ჩალხუშიანთან. უკანასკნელის ბინის გასაჩხრეკად გაგზავნილ იქნა საგანგებო რაზმის ნაწილი „ორიანტის" სასტუმროში. თვით ჩალხუშიანი ტფილისიდან გაქცეულა, ბინაზე იყო მისი მეუღლე ჩხრეკის დროს ჩალხუშიანის ნომერში, მოვიდა ერთი უცნობი, რომელსაც ჩალხუშიანისათვის წერილი მოიტანა. წერილი თითქმის შიფრიანი იყო, იქ ლაპარაკი იყო რაღაც პასპორტზე, 250 მანეთზე, წიგნზე და სხვა წერილის მიმტანი აკოფ კიურნიულიანი შეიპყრეს.

აღმოჩნდა აგრეთვე რომ პოლკოვნიკი შმაგაილოვი სამართალშია მიცემული ფონ-ლუბინსუს საქმეში, ასაფეთქებელი მასალის შენახვა რომ ბრალდება, მაგრამ ის ვერ იპოვეს თავის დროზე, გამოკითხვის დროს ბრალდებულება შემდეგი უთხრეს გამომძიებელს:

შმაგაილოვმა სთქვა, რომ ამ საქმის შესახებ ის ყველაფერს ვერ იტყვის, რადგან პირობა აქვს მიცემული ზოგიერთი პირებისათვის და ვიდრე მას პირობებისაგან არ განათავისუფლებენ ის იძულებულია გაჩუმდეს ოქტომბრის 31—სთქვა შმაგაილოვმა ღამით დავალება მქონდა და წაველი სხვებთან ერთად ტფილისში და მცხეთაში, აქ ჩამოვედი და გავემგზავრე ფეხით ხიდისაკენ აქ შევასრულე, რაც დავალებული მქონდა, და გავუყევი ტყისაკენ მხრიდან ტფილისის გზისაკენ რომ არის. გზაში დავიბენი ხასადილევს შემომხვდა უცნობი, რომელიც შემდეგ კუჩარიანი აღმოჩნდა, როდესაც მოგვესმა ხმაურობა, კუჩარიანმა მკითხა—ეგებ რას ეტყვი, რომ გკითხონ სად იყავიო?—ვეტყვი სოფელში ვიყავი სანოვაგისთვისო ამ დროს დაიწყო სროლა. მე გავიქეცი. გზაში დამატყვევეს და ეტლით დილომში მიმიყვანეს, აქ რამოდენიმე ხნის შემდეგ მოიყვანეს დაჭრილი კაცი, მაჩვენეს და ის აღმოჩნდა ჩემი მგზავრი.

კითხვაზე მიიღო თუ არა მონაწილეობა აფეთქებაში. შმაგაილოვმა სთქვა: ერთმა პირმა, რომელსაც მე ვენდობოდი, გამაცნო მოკავშირეთა წარმომადგენელი. ამ უკანასკნელმა წინადადება მომცა მონაწილეობა მიმეღო ტფილისსა და ფოთს შუა რკინის გზის მიმოსვლის შეწყვეტაში. უნდა ავეფეთქებინა ისეთი ხიდი, რომლის შეკეთებას 2—3 კვირაზე მეტი არ დასჭირდებოდა. ამ ხნის განმავლობაში უთუოდ უნდა მომხდარიყო ცვლილება საერთაშორისო ომის მდგომარეობაში და მოკავშირეთა მიზანი იყო შეეჩერებინათ გერმანელ ჯარისკაცების გამგზავრება დასავლეთის ფრონტზე და პროდუქტების და სხვა მასალის გატანა გერმანიაში. რამდენიმე ასი მილიონის მანეთის ღირებულებისა. ამ იდეას მე სავსებით თანაუგრძნობდი, და სრულებით უანგაროდ მივიღე შეძლებისდაგვარად მონაწილეობა აფეთქებაში. ეს აქტი მიმართული იყო მხოლოდ და მხოლოდ გერმანიის წინააღმდეგ და აზრადაც არ მქონია, საქართველოს წინააღმდეგ მოქმედება.

კუჩარიანმა სთქვა: ოქტომბრის 31-ს ღამით წაველი მცხეთაში. აქ მოვიცადე დილამდე. აქ ვნახე უცნობი, რომელიც წინა დღით ტფილისის სადგურზე ბილეთს ჰკიდულობდა, აქედან წაველი სოფელში სანოვაგის საყიდლათ. (შემდეგ ითხრა ის, რაც ზემოდ არის მოთხრობილი), რუბენ ჩალხუშიანს არ ვიცნობ, და არც არავითარი მონაწილეობა მიმიღია აფეთქებაშიო.

კიურნიულიანმაც გამომძიებელს მოახსენა, რომ მას დაავალეს მხოლოდ წერილის მიტანა ჩალხუშიანის ნომერში და აფეთქებაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია.

ყველა ზემო-მოყვანილი გამოძიების ძალით, შმაგაილოვი, კუჩარიანი და კიურნულიანი პასუხისგებაში არიან მიცემული: მათ ბრალდება, რომ რკინის გზის გაწყვეტის მიზნით ააფეთქეს ხიდი. ამას გარდა კუჩარიანს ბრალდება, რომ ნოემბრის 3-ს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია სართიჭალის რაიონის კომისარს ზაქარია ჯაფარიძე-ხიზანაშვილს ბრალდებულნი გასამართლებული უნდა იქმნან საგანგებო სასამართლოში.

ბრალდებულთა გამოკითხვა.

საბრალმდებლო ოქმის წაკითხვის შემდეგ თავმჯდომარე ეკითხება ბრალდებულებს, სცნობენ თუ არა ისინი თავს დამნაშავედ.

პოლკ. შმაგაილოვი. მე დამნაშავედ ვსცნობ თავს, რომ მივიღე მონაწილეობა აფეთქების მოწყობაში და ნება მომეცით განმარტებები წარმოგიდგინოთ:

გამოძიების დროს მე ყველაფერი ვერ ვსთქვი, რადგან პირობა მქონდა მიცემული ზოგიერთებისათვის, ეხლა ამ პირობიდან განთავისუფლებული ვარ და შემიძლია ყველაფერი მოგახსენოთ.

1911 წელს მე დავასრულე ნიკოლოზის სახელობის საინჟინერო აკადემია პეტროგრადში დ გაგზავნილ ვიქენ გროდნოს ციხეში, რომელიც 75 ვერსით არის დაშორებული გერმანიის საზღვარს. აქ მუდამ ქამს მოელოდნენ ომს გერმანიასთან. მე ძლიერ მაინტერესებდა ჩვენი მომავალი მტერი და გავიცანი მთელი ლიტერატურა, რომელზედაც აღიზარდა გერმანიის არმია. გერმანიის სამხედრო ლიტერატურა იყო განუწყვეტელი ქადაგება ომისა. ის იყო ომის კულტის განსახიერება. აქ პირველად გავიგონე მე ჰიმნი მომავალი სისასტიკისა, მომავალი სიმხეცისა: გაანადგურე ყველაფერი, რაც კი შეგხვდება მოწინააღმდეგის საზღვრებში.

მუშაობის დროს მე გავეცანი იმასაც, თუ როგორ ემზადებოდა პრაქტიკულად გერმანია ომისათვის: გროდნოს ციხისათვის ჩვენ გვიხდებოდა მანქანების და სხვა მასალის შეძენა გერმანული ფირმის ქარხნებშიც. და აი აქ გამოსჩანდა მთელი სივერაგე გერმანიისა: გერმანული ფირმები ფოლადის მანქანების მაგივრად გვაწვდიდნენ თუჯის მანქანებს და ერთი სიტყვით ყოველთვის გვატყუებდნენ და ცუდ მასალებს გვიგზავნიდნენ.

როდესაც ომი დაიწყო, მე გამგზავნეს რენენკამპფის ლაშქარში აღმოსავლეთ პრუსიაში: აქაც საზღვარი არ ჰქონდა გერმანელების სიმხეცეს, როდესაც ისინი ადგილებს ტოვებდნენ და უკან იხევდნენ, წყალს სწამლავდნენ და ჩვენი ჯარის-კაცები იხოცებოდნენ ამ მოწამლული წყლით. შემდეგ გადამიყვანეს ვარშავის რაიონში: ირგვლივ ძალადობა იყო; სადაც კი მისწვდებოდნენ გერმანელები, ყველგან ძალმომრეობას ხმარობდნენ, მშვიდობიან მცხოვრებლებზე და ცლიდნენ მათ. ეს იყო უღირსი გამოხატულება სისხლის მწოველობისა.

ჩვენ უკან ვიხევდით, მივაღწიეთ გროდნოს, სადაც ყველაფერი გადავსწვით, რომ მტერს არ ჩაგარდნოდა ხელში. გადავსწვით იმიტომ, რომ ზურგში ყველგან ღალატი და გამცემლობა იყო: ყველგან იყო გამჯდარი გერმანიის ღალატი. ისე ჰყავდათ დაგზავნილი გერმანელებს თავისი აგენტები ჩვენს ზურგში, რომ ყველაფერი იცოდნენ მათ და ჩვენც [illegible].

როდესაც ყველაფერი ეს განვიცადე; მე უკვე დავკარგე გამარჯვების იმედი, რომელიც აქამდე მქონდა.

მე გამიგზავნეს კავკასიის ფრონტზე, გენერალ იუდენიჩის შტაბში. არზრუმში მე გავიგე ყველაფერი რუსეთის შინაური საქმეების შესახებ, ჩვენთან ჩამოვიდა გუჩკოვი და მან აგვიხსნა, როგორი ვაკხანალია ჰქონდათ გამართული, რუსეთში მოღალატეებს: სამხედრო სამინისტროში ყველაფერი კეთდება გერმანიის კარნახით.

მოახლოვდა რევოლიუციის დღეები. რევოლიუციას ჩვენ დიდის სიხარულით შევხვდით, რადგან ვფიქრობდით, რომ აქ მაინც მოეღებოდა ბოლო ღალატს და ჩვენც გავიმარჯვებდით გერმანიაზე. მე წაველი პეტროგრადში რომ უფრო ახლო მონაწილეობა მიმეღო გერმანიის დამარცხებაში დასავლეთის ფრონტზე მაგრამ იმედი ფუჭი გამოდგა: ამ დროს პეტროგრადში მოვიდა ლუქით დაბეჭდილი მატარებელი და მან ჩამოიყვანა ლენინი და მოწამლა მთელი რუსეთი, მოვიარე მთელი მოსკოვის მხარე, ვოლგის მხარე—ყველგან ქაოსი. წაველი უკრაინაში: აქ უკვე მაგრად ჰქონდა ჩაჭედილი ხელი გერმანიას, აქედან იწყებოდა რუსეთის ნგრევა.

წამოვედი ისევ კავკასიაში, აქ მყავდა ამხანაგი ბაიარ-ოღლი.

მან გამაცნო ჩალხუშიანი, რომელიც, დავრწმუნდი ჩემსავით, იდეური და პატიოსანი იყო. ის იყო რუსეთის გულწრფელად მოყვარული, დიდი ანგლოფილი და გერმანიისადმი ზიზღით აღვსილი.

მე ისევ პეტროგრადში გავბრუნდი. ამ ხნის განმავლობაში უკვე ღრმად გაედგამს ფესვები გერმანიის მუშაობას. მე ვნახე, როგორ გაუნადგურებია გერმანიას ბოლშევიკების შემწეობით ყველაფერი, გაუხრწნია რუსეთის ძვირფასი კულტურა.

პეტროგრადში ვინახულე ამერიკის ელჩი და ვთხოვე როგორმე გადავეყვანე მოკავშირეთა რომელიმე ლაშქარში, რომ იქ მაინც მიმეღო მონაწილეობა გერმანიის დამარცხებაში. პეტროგრადში ეს ვერ მოვახერხე. გამოვემგზავრე აქეთკენ, რომ აქ მაინც მიმეღწია მიზანს.

(შემდეგი იქნება)

ქალაქისა და სოფლის ამხანაგ მუშებს

დიდება თავისუფლებისათვის მებრძოლთ!

ამხანაგებო! უმაგალითო ომის დროს წარმოიშვა ჩვენი სამშობლოს თავისუფლება; მრავალ მძიმე განცდათა და წამების შემდეგ ხორცი შეისხა საქართველოს დამოუკიდებლობამ. ჩვენი ერის თავისუფლებისა და კეთილდღეობის თავდადებულმა დარაჯმა—ქართველმა დემოკრატიამ ურცხვად შეგინებული და წამებული ქვეყანა მრავალ საშინელ საფრთხეს დღემდის უვნებლად გადაარჩინა; დიდი რევოლიუციის დროს მან საძირკველი ჩაუყარა საქართველოს დემოკრატიულ წეს-წყობილებას, რომელმაც ახლად უღელ-ახდილი ერი საერთაშორისო განთავისუფლებელ მოძრაობაში უნდა ჩაბას და გაუკვალოს გზა სოციალიზმისაკენ.

ყოფილი რუსეთის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე დღეს მხოლოდ საქართველოშია დაცული წვალებით მოპოვებული ხანატრი თავისუფლება და მეთაურებითი დემოკრატიული წესრიგი. ხოლო ყოველივე ეს ქართველი მშრომელი ხალხის შეგნებული და თავ-განწირული მუშაობის ნაყოფია.

მაგრამ საქართველოს დაუძინებელი მტრები ვერ შერიგებიან ჩვენს თავისუფალ არსებობას. და ყოველგვარ საშუალებას ხმარობენ, რომ კვლავ მიწასთან გაგვა-სწორონ. და სწორედ ამ დროს, როდესაც თითქოს უკვე ბოლო ეღება კაცობრიობის დაუძინებელი მტრების მიერ დაწყებულ საშინელ სისხლის ღვრას, და დასავლეთ-ევროპის ჩვენი ძმები—მუშები თავ-განწირულად ცდილობენ, ერთხელ და სამუდამოდ ალაგმონ იმპერიალისტთა ბატონობა, ჩვენსავით ტანჯული მეზობელი ერის—სომხების მთავრობა საქართველოს ომს უცხადებს. ჩვენთვის ცხადია, რომ ეს ვერაგული ომი სომხის ერის იმ ავანტიურისტებისაგანაა დაწყებული, რომელთაც უწინაც თავისი წამებული ერის ცოცხალ სხეულზე არა ერთხელ მოუხდენიათ საშინელი ექსპერიმენტები. ამ პირების წყალობით სრულიად მოულოდნელად, ვერაგულად შემოესია საქართველოს საზღვრებს სომხების ჯარი და უკვე დაღვარა მრავალი სისხლი. და ჩვენც გულისტკივილით, მწარე გრძნობით იძულებული ვართ სათანადო პასუხი გავცეთ ამ კაენისებურ საზიზღარ გამოწვევას. უნდა ყველამ იცოდეს, რომ ბრძოლაში გამოწვეული ქართველი დემოკრატია, მშრომელი ხალხი ნებას არავის მისცემს, კვლავ ითარეშოს ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალზე.

არა სომხის ერის მშრომელ ხალხს, არამედ ერევნის მთავრობის თავზე ხელაღებულ ავანტიურისტებს ვებრძვით ჩვენ, რათა დავიცვათ მშობელი ქვეყნის საზღვრები და მათში არსებული თავისუფალი წეს-წყობილება. ჩვენ სომხის ხალხთან წარსულშიაც და ეხლაც მხოლოდ გულწრფელი მეგობრული განწყობილება გვაკავშირებდა, მაგრამ თუ ვინმე ხელს შეახებს ჩვენს დამოუკიდებლობას, მან უნდა იცოდეს, რომ ქართველი ერი შესძლებს თავის არსებობის დაცვას.

ამხანაგებო, ქალაქისა და სოფლის მუშებო, ამ რთულსა და პასუხსაგებ მომენტში დაიცავით ყველგან წესიერება, შემოჰკრბით ჩვენი მთავრობის გარშემო და ჩაეწერეთ სამშობლოს დამცველ რაზმები. გახსოვდეთ, რომ მოვალეობა კვლავ სამშობლოს სადარაჯოზე მოგვიწოდებს.

საქ. სოც.-ფედ. მუშათა კავშირების
დრ. მთავარი გამგეობა.

მოწოდება

საქართველოს შვილნო და მოქალაქენო! ჩვენ სამშობლოს მოადგა ვერაგულად მტერი, რომელიც კრავის ტყავში იყო გახვეული და მშვიდობიანი, დაჩაგრული მოძმის სახელით სარგებლობდა ჩვენი კაცთ მოყვარეობით და სულგრძელობით.

დღეს ამ დიდიხის მეზობლის გაბატონებულმა წრეებმა, ვეღარ დამალეს გულში ნადები ღვარძლი და უიმედო იმედებით გათამამებულნი თავს დაგვესხნენ მახვილ ამოწვდილნი. დემოკრატიულმა საქართველომ დაინახა რა, რომ ამისთანა მტერთან მშვიდობიანი და ძმური სიტყვა უძლური გამოდგა, მოღერებულ სომხის მახვილს ქართული ხმალი მიაგება, რათა დაიცვას უტიფარ ადამიანთაგან საყვარელ სამშობლოს საზღვრების ხელშეუხებლობა, დემოკრატიული ქვეყნის თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

ყველა ქართველი მიეშურება მტერთან საბრძოლველად. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენო, განურჩევლად ეროვნებისა, დავამტკიცოთ, რომ ჩვენთვის ძვირფასია ყველა მეომარი, რომელიც დღეს თავგანწირულად იცავს რესპუბლიკას, ჩვენი თანაგრძნობა დავამტკიცოთ მცირე დახმარებით მაინც: ყველა მოქალაქემ დაიდოს ვალად საომარ საჩუქრებით ფრონტზე მყოფ სახალხო გვარდიის, რეგულიარულ და მოხალისეთა რაზმების ჯარის კაცთ.

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებამ თავის მხრივ გადასდო ამ საქმისათვის 10000 მან. ეჭვს გარეშეა, რომ არც ერთი მოქალაქე არ აიცდენს თავიდან ამ ფრიად საჭირო სახალხო ზნეობრივად სავალდებულო დახმარებას მებრძოლ ძმათათვის. დახმარება მიიღება: ფულით, გამომშრალი პურით (სუხარი), კონსერვით, სხვა და სხვა სასმელებით, თუთუნით. თუთუნის ქაღალდი, პაპიროსი ჩაი-შაქარი, თბილი ტანისამოსი, საცვლები, ფეხსაცმელი, თბილი წინდები, ძაფი, ღილი და სხვა.

შემომწირველთა სია ყოველ კვირა გამოქვეყნდება გაზეთებში. შემოწირულება მიიღება ყოველ დღე ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების კანტორაში, სასახლის ქუჩა № 5.

ქართულ საქველ-მოქმედო საზოგადოების მთავარი გამგეობა.

შემოწირულება ჯარისათვის

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთ. გამგეობამ მიიღო შემოწირულება საქართველოს ჯარისათვის შემდეგი პირებისაგან: გენ. ახლ. ოდიშელიძისაგან 1 ბოთლი კონიაკი და 4 გირ. თამბაქო, ალ. ჯაბადარისაგან 500 მან., ამხ. „საეროსაგან" 500 ბოთ. ღვინო, სარაჯიშვილის კანტორისაგან 240 ნახ. ბოთ. კონიაკი, მარ. აბრამიშვილისაგან 4 გირ. თამბაქო და 2 პაჩკა წუმწუმა, აბრამ ბუზიაშვილისაგან 5 ათასი პაპიროსი, მარიამ, ელისაბედ და ვახტანგ მაჩაბლებისაგან 75 მან., ალ. ი. ფურცელაძე ... ქიშვილისაგან 1000 მან., ტ. თ. მარგველაშვილისაგან 50 მან., ნინო ცერცვაძისაგან 50 მან., კ. ა. სოლოლოვისაგან 50 მან., სოფ. ნიკ. ლაბინსკაიასაგან (ვერცხლით) 35 მან.

მთავარი გამგეობა ულრმესს მადლობას სწირავს შემომწირველთ.

გამომცემელი
[illegible]
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

საექიმო მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევანი
მიიღება
ა. ს. ახვლედიანის
აფთიაქში. გოლოვინის პროსპექტი
№ 41, ტელეფონი 11—65 2554

ექიმი ვ. მუხიძიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

ექიმი კონსტანტინე ტარიელის ძე ლორთქიფანიძე (ბაქოდან) მიიღებს შინაგან სნეულობის და ბავშვების ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე. ნაბერეჟნის ქუჩა, სახლი 11. ტელ. 8—19. 2512

ექიმი ი. ქ. აბაკელია შინაგანი ავადმყოფობა, გულ[illegible] ავადმყოფობანი გულმკერდის ორგანოებისა, სასუნთქისა ფილტვების [illegible], გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4½—6 საათამდე. პეტროგრადის ქ. № 26. ტელ. 5—86. 1270

ექიმი ძ. ტყეშელაშვილი, განახლა ავადმყოფების მიღება (საშარდე და სასქესო ორგანოების სნეულებანი, ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი, „914"-ის შეშხაპუნება). ყოველ დღე საღამოობით 6—8 საათ. გარდა კვირისა. კერძო საავადმყოფოში, მიხეილის ქუჩა, № 167. 2407

ექიმი ბ. მ. მუხაძე იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ. საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ, სახლი სვანიშვილისა, ტელეფ. 15—77. 300

ექიმი ნ. ლ. გურიაშვილი (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—5 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7 სიმპოვიჩის აფთიაქის გვერდით. 903

თვალის სამკურნალო მუდმივი [illegible] ექიმ დონახიძისა
რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

რენტგენის და ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი
მედ-ცინის დოქტორის
გ. მერაბოვისა
(რენტგენოლოგი წ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა)
მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს, სპეციალურად ფილტვების, ჭლექის ავადმყოფობა (ტუბერკულოზი), კუჭისა და [illegible]. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. ბებუთოვის ქუჩა, № 23, ტელეფ. 7—92. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ.
საწყლებს უფასოდ. 1340

ექიმი ქალი ა. ბ. ზიუმლი-ხახაშვილი მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა [illegible] დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხაილოვის პრ. სახლი № 119. ტელ. 9—26. 2306

ექიმი ნიკოლოზ მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, [illegible] და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 2245

ექიმი დ. ა. ხარაიძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე, კვირაობით დილის 9—12 ს ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლ. 2105

ექიმი შ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118.

ექიმი ი. გ. ზარიძე. მიიღება ვენერიული საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფები დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ № 8. 301

ექიმ ნავახარდიანის [illegible] კერძო სამკურნალო.
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:
„606" და „914" 11—12 ს.
ე. ა. ნავახარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმ.)
ბ. ს. აგაბეკოვი: 10—12 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
მ. გ. ავეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 12—1 ს.
ა. ო. ტერ-გრიგორიანცი, 12—1 ს. შინაგანი.
რჩევა-დარიგება 3 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსილიუმები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავახარდიანი.

ტფილისი, სტამბა „სახალხო საქმე" ბარონის ქ. 14. (კალოუბნის ქ. 14).